ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“

მოგზაურთა კლუბი „მხიარული მგზავრები“

სამყარო წიგნია და ვინც არ მოგზაურობს,
მხოლოდ ერთ გვერდს კითხულობს.
(წმინდა ავგუსტინე)

## მისია

მოგზაურთა კლუბი „მხიარული მგზავრები“ დაუძნებულია ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“ს მასწავლებლების და მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, კლუბის მიზანია მოსწავლეების საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩართვა და წარმოადგენს სამოქალაქო განათლების, გეოგრაფიის, ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ბიოლოგიის გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას. კლუბში საქმინობით მოსწავლეები შეძლებენ მონაწილეობა მიიღონ სკოლისა და თემის მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრაში, უკეთესობისაკენ შეცვალონ გარემო, აწარმოონ თანატოლთა საგანმანათლებლო კამპანიები, კლუბში მუშაობა მოსწავლეებს დაეხმარება მომავალი წარმატებული ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაში, ასევე ჯანსაღი ცხოვრების წესის გათავისება/დამკვიდრებაში.

## დებულება

1. ზოგადი დებულება

1.1. ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“ს მოგზაურთა კლუბი „მხიარული მგზავრები“ დაფუძნებულია სკოლის გეოგრაფიის მასწავლებლის ქეთევან მაისურაძეს და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის კახა ოღაძეს მიერ.

1.2. კლუბი დაფუძნებულია განუსაზღვრელი ვადით და თავისი მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე.

1.3. კლუბს აქვს სახელწოდება, ლოგო, დევიზი.

1.4. კლუბის იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ჩარგლის ქუჩა №65

## 2. კლუბის მიზანი და ამოცანები:

2.1. საზოგადოებრივი და საბუნებისმეტყველო საგნების განვითარება;

2.2. მოსწავლეთა სამოქალაქო აქტიურობის ფორმირება არასაგაკვეთილო ფორმებით.

2.3. საქართველოსა და მისი კუთხეების ისტორიის, გეოგრაფიის, კულტურის,
ტრადიციების, წეს-ჩვეულებების შესწავლა.

2.4. მსოფლიოს ქვეყნების მდიდარი ისტორიის, კულტურის და ტრადიციების გაცნობა.

2.5. მეცნიერებთან და მკვლევარებთან შეხვედრების მოწყობა.

2.6. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

2.7. მოსწავლეთა ინიციატივების პროექტების სახით განხორციელება.

2.8. კონფერენციების, პრეზენტაციების, ექსკურსიების, ლაშქრობების, კონკურსების ორგანიზება.

## 3. კლუბის სტურქტურა, მართვა

კლუბის ფუნქციონირება დაფუძნებულია ნებაყოფლობითობაზე, თანასწორობასა და თვითმმართველობის პრინციპებზე, აგრეთვე, თავისუფალ სიტყვაზე. კლუბი შედგება ცალკეული ჯგუფებისგან, რომლებიც უზრუნველყოფენ კლუბის საინტერესო, მრავალმხრივ, და მრავალფეროვანი მუშაობას.

## კლუბში გაწევრიანება

კლუბის წევრებს აქვთ თანაბარი უფლება-მოვალეობები. კლუბში გაწევრიანება ხდება კლუბის სხდომაზე. კლუბის სხდომაზე გაწევრიანების მსურველი უნდა წარსდგეს პირადი განცხადებით.

1. კლუბში გაწევრიანება შეიძლება პირადი განცხადების საფუძველზე;
2. კლუბში გაწევრიანების გადაწყვეტილება მიიღება კლუბის საბჭოს სხდომაზე, კლუბის დამფუძნებლებთან შეთანხმებით.
3. კლუბის წევრს უფლებამოსილება უწყდება პირადი განცხადების და საბჭოს სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე.

## კლუბის წევრთა უფლება-მოვალეობანი

კლუბი „მხიარული მგზავრები“-ის წევრები ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“ს საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები არიან.

კლუბის წევრებს აქვთ შემდეგი უფლება-მოვალეობები:

1. კლუბის წევრი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა კლუბის საქმიანობაში, კლუბის მიერ ჩატარებულ ყველა ღონისძიებაში.

კლუბის წევრებს უფლება აქვთ:
1. აირჩიონ კლუბის ხელმძღვანელი და თავად იქნან არჩეული.
3. მიაწოდონ წინადადებები კლუბის ხელმძღვანელ ორგანოს კლუბის მუშაობასთან დაკავშირებით.
4. მიიღონ ნებისმიერი სახის ინფორმაცია კლუბთან დაკავშირებით.
5. კლუბის წევრს ეკრძალება იმოქმედოს ორგანიზაციის სახელით კლუბთან და სკოლის დიერქციასთან შეთანხმების გარეშე.
6. კლუბი პასუხისმგებელია მისი წევრის მხოლოდ იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია კლუბის საქმიანობასთან.

კლუბის წევრები ფარული კენჭისყრით ირჩევენ კლუბის პრეზიდენტს.

## კლუბის ხელმძღვანელი ორგანოები

<u>კლუბის პრეზიდენტი</u>

კლუბის პრეზიდენტი ირჩევა ერთი წლის ვადით ფარული კენჭისყრით კლუბის წევრთა მიერ.

პრეზიდენტის გადაყენება შესაძლებელია:
1. პირადი განცხადების საფუძველზე.
2. კლუბის წევრთა ნახევარზე მეტის გადაწყვეტილების საფუძველზე.

<u>კლუბის პრეზიდენტი უფლებამოსილია:</u>
1. ჩაატაროს კლუბის სხდომა და მოამზადოს მასალა სხდომისათვის
2. უხელმძღვანელოს კლუბის საბჭოს, დაამტკიცოს საბჭოს გადაწყვეტილებები და წარადგინოს კლუბი სკოლის წინაშე.
3. მართოს კლუბი სხდომებს შორის პერიოდში.
4. მიიღოს ოპერატიული გადაწყვეტილებები.
უფლებამოსილია უარი თქვას დაკავებულ თანამდებობაზე და წერილობით აცნობოს კლუბის წევრებს

<u>კლუბის მდივანი</u>

კლუბის მდივანი აირჩევა კლუბის წევრების მიერ ერთი წლის ვადით.

კლუბის მდივანი შეიძლება განთავისუფლებული იქნას პირადი განცხადების საფუძველზე.

<u>მდივანი უფლებამოსილია:</u>
1. ამცნოს კლუბის წევრებს კლუბის სხდომათა თარიღები და თემატიკა.
2. აწარმოოს სხდომათა ოქმები და გამოაქვეყნოს კლუბის ყოველწლიური ანგარიშები.
3. კლუბის მოღვაწეობის შესახებ ამცნოს სკოლის დირექციას.
4. უარი თქვას დაკავებულ თანამდებობაზე და ამცნოს გადაწყვეტილება კლუბის ხელმძღვანელობას.

კლუბის წევრები ქმნიან ჯგუფებს. ჯგუფის ლიდერები ქმნიან კლუბის საბჭოს.
<u>კლუბის საბჭო</u>-წარმოადგენს მუდმივმოქმედ ხელმძღვანელ ორგანოს, რომელიც აირჩევა სკოლის პედაგოგების და მოსწავლეების მიერ ერთი წლის ვადით. კლუბის საბჭო ამზადებს და ატარებს კლუბის წევრთა სხდომას, ადგენს სამუშაო გეგმას, გამოაქვს სხდომაზე დასამტკიცებლად, და ისმენს ანგარიშს, ორგანიზებას უკეთებს და ატარებს სხვადასხვა ღონისძიებებს. ირჩევს კლუბის საპატიო წევრებს იმ ადამიანთაგან, ვისაც წვლილი შეაქვს კლუბის მუშაობაში. მოგზაურთა კლუბს აქვს საკუთარი ელექტრონული გვერდი.
კლუბის საბჭო იკრიბება თვეში ერთხელ.
კლუბის საბჭოს წევრთა რაოდენობა .....
კლუბის საბჭო:
ა) ასრულებს ორგანიზაციულ ფუნქციებს.
ბ) ამტკიცებს და ცვლის წესდებას.
გ) წაახალისებს კლუბის წევრებს, პასუხისმგებლობას აკისრებს მათ. წყვეტს ნებისმიერ პრობლემას კლუბის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.
დ) ყველა გადაწყვეტილება მიიღება კლუბის საბჭოს წევრთა უმრავლეოსობით.

## 4. კლუბის სამუშაო გრაფიკი

კლუბი იკრიბება თვეში ერთხელ. კლუბის დაკომპლექტების შემდგომ პირველივე შეხვედრაზე უნდა დადგინდეს შეხვედრის დღე. კლუბის საბჭო ვალდებულია გამოაკრას კლუბის მუშაობის განრიგი და შეხვედრის ადგილი. კლუბი ვალდებულია წინასწარ გაწეროს საჩვენებელი ღონისძიებების ჩამონათვალი ერთი სასწავლო წლის მანძილზე არა უმცირეს 3/4.

## 5. მუშაობის ფორმები

მოგზაურთა კლუბის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება მტკიცდება სკოლაში მართვის ყველა რგოლთან შეთანხმებით.
მოგზაურთა კლუბი შედგება სხვადასხვა მიმართულების ჯგუფებისგან, რომელთა რაოდენობა და დასახელება დამოკიდებულია კლუბის შინაარსზე, ინტერესებზე. მოგზაურთა კლუბი კავშირს ამყარებს (შესაძლებლობის ფარგლებში) საქართველოს და უცხო ქვეყნის მოსწავლეებთან და სკოლებთან სოციალური ქსელის საშუალებით. მომავალში შესაძლებელია უშუალო კავშირებიც (მიმოწერა, ერთობლივი ღონისძიებები, ერთმანეთთან სტუმრობა, ურთიერთგაცნობა) კლუბთან თანამაშრობლობენ მასწავლებლები, მშობლები, და სხვა დაინტერესებული პირები.

## 6. კლუბის ქონება:

კლუბის ქონება და სახსრები იქმნება:
6.1. იურიდიული და ფიზიკურ პირთა შემოწირულობებით.

6.2. გრანტებით.
6.3. სხვა კანონიერი საქმიანობით მიღბული შემოსავლებით.
6.4. კლუბის ქონება გამოიყენება საწესდებო მიზნებისა, სასკოლო და საქველმოქმედო საქმიანობის შესასრულებლად.